ცნობის ფურცელი

№ 2427 | ოთხშაბათი, 3 მარტი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2427

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი კანცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

კესარია მირზაბეგის ასული და ივლიანე ალექსის ძე ქავთარაძენი და ეკატერინე ალექსის ასული ჭილაძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის, პირველის—ძვირფასის მეუღლისა და უკანასკნელთა—საყვარელის მამისა

ალექსი ბეჟანის ძე ქავთარაძის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია შაბათს, 6 მარტისთვის, დაბა ძველ სენაკის მაცხოვრის ეკლესიაში. (ნ. 5—3)

ჭიათურის ბანკის

გამგეობა ამით აცხადებს, რომ მორიგი

საზოგადო კრება

ბანკის წევრებისა მოხდება ს. ჭიათურაში თეატრის დარბაზში 24 მარტს, ამ მდგომარე წელს, დილის 10 საათზე.

კრების განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება 1903 წ. ანგარიშისა; 2) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მომავალ 1904 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა. 3) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა; 4) სახლის მოპოვება საზოგადოებისათვის. 5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა ნაცვლად თ. ივანე აბაშიძისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა; 6) არჩევნები საბჭოს სამის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. (3—1)

აბრეშუმის თესლი

საუკეთესო ხარისხის შემოწმებული თეთრი ბაღდადური და ყვითელი ფრანგული ისყიდება ზომიერ ფასებში ქუთაისში.

(10—70—7) სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“.

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 7 მარტს, წარმოდგენილი იქნება

დ ე მ ო ნ ი

ოპერა 3 მოქმ. მუს. რუბინშტეინისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დუბრო[illegible]ია, რ[illegible]ონოვა. ბ-ნნი: კორეევიჩი, ილიუშჩენკო, ბრაგინი, ბუხტოიაროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ფასები აწეული. [illegible] ესპოზიტო. (1—17)

ანონსი: 8 მარტს—„პიკოვაი დამა“; 9 მარტს—„მინიონი“.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

[illegible]. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

[illegible]რ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. [illegible]—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ძ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ:

ვ. ვ. სოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია. [illegible]აშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოება აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 3 მარტს, „საარტისტო საზოგადოების“ დიდ საკონცერტო დარბაზში ნაშუადღევის პირველ საათზე გაიხსნება

ჭლექის საწინააღმდეგო **გამოფენა.**

შესასვლელი ფასი 20 კაპ. დამსწრეთ ყველაფერს განუმარტავენ ექიმები. (2—2)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლიანტიპ არმაკლიძისა. (0—6.—64)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ქალთა კომიტეტი,

რომელიც ამზადებს ნივთებს ბრძოლის ველის საავადმყოფოებისათვის, სთხოვს იმ მანდილოსანთ, ვინც სურვილი განაცხადეს მონაწილეობის მიღებისა კომიტეტის მუშაობაში, მობრძანდნენ კრებაზე, რომელიც მოხდება ოთხშაბათს, 3 მარტს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე, თავ. ქობულაშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა). (ნ. 2—2)

შავი-ქვის მრეწველთა კრების

საბჭო

ამით აუწყებს, რომ ბ-ნ მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონება მინისტრის ნება-დართვით, ამ 15 მარტს მოხდება მეექვსე (საგანგებო) კრება შავი-ქვის მრეწველთა კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის თანაშემწის სტატსკი სოვეტნიკის ბ-ნ მ. ი. ჩენგერის თავმჯდომარეობით.

კრება საჯარო არ იქნება. კრება იხელმძღვანელებს ახალ შეცვლილ დებულებით, რომელიც მინისტრმა დაამტკიცა 5 თებერვალს, ამა 1904 წელს.

განსახილველი საგნები:

1. არჩევანი კრების მდივნისა.

2. განხორციელება 27 თებერვალს, 1903 წელს გამოცემულ კანონისა, რომლის ძალითაც დაჯილდოვებულ უნდა იქმნან უბედურ შემთხვევის დროს დაშავებული მუშები და მოსამსახურენი, აგრეთვე მათის სიკვდილის შემდეგ მათი ოჯახები.

3. საქირო თანხის გაღება სამთო დეპარტამენტთან განზრახულ სამთო საქმეების გამო განსაკუთრებულ საბჭოს კანცელარიის შესანახად.

4. ტარიფის დაკლება შავი-ქვის მადნის გადაზიდვის დროს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჭიათურის შტოზე.

5. ფუთის კვალობაზე გაწერილ გადასახადის მომატება იმ შავ-ქვაზე, რომელიც ჭიათურის გზით გააქვთ.

6. გამართვა მექანიკურ მოწყობილებისა ფოთის ნავთსადგურში გემებზე შავი-ქვის დასატვირთავად.

7. დაარსება სოფ. ჭიათურაში ექვს-კლასიან საქალაქო სასწავლებლისა სამთო განყოფილებით და ორის სახელოსნოთი,—საზეინკლოთა და სადურგლოთი. (1—6.—1)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ე ქ ი მ ი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი№ 46.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მარტი.

ბლაგოვეშჩენსკი. იაპონელებმა, ქალაქიდან წასვლამდე, განსაკუთრებულ ადრესით მადლობა გამოუცხადეს სამხედრო გუბერნატორს მოწყალე და ჰუმანურ მოპყრობისათვის.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). რუსეთის მთავრობამ სეულში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენელის ხელით იაპონიის წითელ ჯვრის საზოგადოებას გადასცა 2,000 იენი, რათა ამით მადლობა გამოუცხადოს იაპონელებს ჩემულპოში დაჭრილ რუს ზღვაოსანთა მოვლისა და მზრუნველობისათვის.

რიაჟსკი. 1 მარტს დილის 9 საათზე საგანგებო მატარებლით მოვიდა გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი. მატარებლის მოსვლამდე დიდ ძალი ხალხი შეიკრიბა. მთელმა ხალხმა და სხვა და სხვა უწყების წარმომადგენლებმა ერთხმად უსურვეს კეთილი მგზავრობა გენერალ კუროპატკინს.

ტოკიო („რეიტ. სააგენტოსაგან“). დღეს საღამოთი გამოაცხადეს შედეგი ხელის მოწერისა სახელმწიფო სესხზე. ფორმოზასა და იაპონიის ზოგიერთ ოლქებიდან შედეგი ჯერ არ მოსულა. ხელის მოწერა ავიდა 452,235,625 იენამდე. ბევრნი იმ ფასზე მეტს იძლეოდნენ, რაც დანიშნული იყო.

ტიანძინი, 1 მარტი („რეიტ. სააგენტო“). იმ დეპეშის თანახმად, რომელიც პორტ-არტურიდან გუშინ საღამოს 7 საათზე გამოიგზავნა და მოვიდა აქ დღეს, სიმართლეს მოკლებულია ხმა იაპონელების მიერ პორტ-არტურის დაჭერის შესახებ.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის ჟილინსკის დეპეშა, 29 თებერვალს გამოგზავნილი მთავარ-შტაბის უფროსის სახელობაზე: „24 თებერვალს ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მდინარე ჩინჩანჩანზე შეამჩნია მტრის ოთხი მზვერავი სადგური და ცხენოსანი დარაჯნი. პაკეჩენის ახლო იაპონიის მზვერავ რაზმს, რომელიც ხუთის კაცისაგან შესდგებოდა, ალყა შემოარტყა ჩვენმა მზვერავმა რაზმმა, მოუკლეს ერთი კაცი, დანარჩენნი გაიქცნენ. დადევნების დროს გზაში იპოვნეს რამდენიმე პატრონი, საბნები და სხვა.

კორეის ჯარის უფროსმა იჯუში ჯარის კაცთ იარაღი აჰყარა და დაითხოვა; თავისათვის დაიტოვა მხოლოდ 20 შეარაღებული კაცი. მანჯურიის მცხოვრებნი დამშვიდებულნი არიან.

ღამე 27 თებერვალს მტრის გემები ანათებდნენ ელენას ბოლაზსა და ზღვის ნაპირს სენიუჩენის პირდაპირ. როგორც მოსულ ცნობებიდანა სჩანს, იაპონელები გენზანის ჩრდილოეთით არ გადმოსულან. მდინარე ტუმენ-ულის განაპირა ადგილებში მცხოვრებნი ჩვენ მეგობრულად გვიყურებენ.

პარიზი. რუსეთის ჯარის მოქმედების თვალ-ყურის სადევნელად დანიშნულია მე-12 ქვეითა ბრიგადის უფროსი გენერალი სილვესტერი, საარტილერიო ესკადრონის უფროსი შემანინი და ქვეითა ჯარის კაპიტანი ბუსეილი. იაპონიის ჯარის მოქმედების თვალ-ყურის სადევნელად დანიშნულია პოლკოვნიკი ლონბარი, რომელიც ამ ჟამად ტიანძინში იმყოფება, ტოკიოში მყოფი სამხედრო აგენტი პოდპოლკოვნიკი კორვიზარი, არტილერიაში მსახური პეიერი, რომელიც ახლა სეულში იმყოფება.

(სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

2 მარტი.

პარიზი. კურინომ განუცხადა „ტან“-ის თანამშრომელს, რომ რუსეთსა და იაპონიის შორის განხეთქილება გამოიწვია რუსეთის მიერ საქმის გაჭიანურებამ და ტოკიოში საზოგადოებრივ აზრის აღელვებამ. მოლაპარაკება რომ პეტერბურგში ყოფილიყო, შეიძლება ომი თავიდან აცილებულიყო. რუსეთის უფლებას მანჯურიაში ჩვენ უარს არა ვყოფდით; ლაპარაკი გვქონდა კორეისა, მანჯურიისა და შორეულ-აღმოსავლეთის შესახებ, რუსეთი-კი მარტო კორეის შესახებ გვაძლევდა პასუხს. იაპონია შიშობდა, რომ რუსეთს მომავალში კორეია არ ჩაეგდო ხელში.

მორშანსკი. დღეს მორშანსკზე გაიარა პეტერბურგიდან შორეულ-აღმოსავლეთს მიმავალმა გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა.

პეტერბურგი. გენერალი ჟილინსკი დეპეშით გვატყობინებს: 24 თებერვალს ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მდინარე ჩინჩანჩანზე შეამჩნია მტრის ოთხი სადარაჯო სადგური და ცხენოსანი დარაჯები. კორეის ჯარის უფროსმა იჯუში ჯარის კაცნი დაითხოვა და იარაღი აჰყარა. გენზანის ჩრდილოეთით იაპონელები ნაპირზე არ გადმოსულან.

ბერლინი. ლონდონიდან მოსული ცნობა, ვითომ რუსებს პორტ-არტურისათვის თავი დაენებებინოთ, აგრეთვე „დეილ მეილის“ კორესპონდენტის ცნობა, ვითომ იგი ქალაქის მახლობლად მისულიყოს და იქ ჯარი ვერ შეემჩნიოს, სიმართლეს მოკლებულად მიაჩნიათ. ტოგოს მოხსენებაში ნათქვამია, რომ ციხის ზარბაზნებს ჩვენის გემებისათვის ზარალი არ მიუყენებია, მაგრამ არას ამბობს ხალხის დაღუპვის შესახებ, რის გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხალხი ბევრია დაღუპილი, რადგან მარტო ინჟენერია რვა კაცი დაჭრილი. დაჭრილია აგრეთვე ამათი უფროსიც.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მარტი.

ბუდაპეშტი. ზედა პალატამ უცვლელად მიიღო კანონი ჯარში ახლად გაწვეულ ჯარის კაცთა შესახებ.

მოსკოვი. ტროიცკო-სერგიის ლავრის წინამძღვარი არქიმანდრიტი პავლე გარდაიცვალა.

პეტერბურგი. 1 მარტს პეტრე-პავლეს ტაძარში დვთივ განსვენებულის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად გადახდილ პანაშვიდს დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრები და მთავრინები.

თავრიზი. 26 თებერვალს სპარსეთის მემკვიდრე თეირანს წავიდა. აზერბეიჯანის პროვინციის საქმეების მართვა-გამგეობა ჩააბარა გუბერნატორს ამირ ნიზამს. ხმა დადის, რომ უწესოებანია მოსალოდნელიო.

ვენა. გერმანიის კრონპრინცი დაესწრო ავსტრიის საიმპერატორო აღლუმებს.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მარტი

ნიკოლაევსკი. გაიხსნება კურსები მოწყალების დებისათვის. ჩაეწერა 17 ქალი. კურსებს განაგებს ქალაქის ექიმი.

პორტ არტური. 2 მარტი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). პორტ-არტურის რაიონში მშვიდობიანობაა. ხმელეთის ბრძოლის ველიდან ცნობები არ მოსულა. როგორც სჩანს, ჯერ-ჯერობით მარტო მზვერავი რაზმები მოქმედებენ.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). აქ ოფიციალურად უარ ჰყოფენ ადმირალის ალექსეევის ცნობას, ვითომ პორტ-არტურზე მეოთხე თავდასხმის დროს დაღუპულ იქმნა ნაღმიან გემების გამანადგურებელი იაპონელთა გემი და ვითომც დაზიანებულ იქმნა იაპონელთა კრეისერი „ტაკასაგო“. ნაღმიან გემების გამანადგურებელი გემები, რომელნიც ამ ბრძოლაში დაზიანდნენ, ერთ კვირის განმავლობაში იქნებიან შეკეთებულნი.

ბერლინი. ირწმუნებიან, რომ პორტ-არტურზე უკანასკნელ თავდასხმის დროს იაპონიის ერთი გემი დაიღუპაო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

2 მარტი.

პორტ-არტური. კვანტუნის ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანობაა. დალნში მოვიდნენ მგზავრნი გემის „არგუნ“-ისა, რომელიც 25 იანვარს იაპონელებმა დაატყვევეს კორეის ნაპირებ[illegible]ბენ, რომ კრეისერი „აზუმა“ „ვარიაგ“-თან ბრძოლის დროს ძლიერ დაზიანდაო, ასე რომ სასებოში ბუქსირით მიიყვანეს, აღარც აფრები ჰქონდა, აღარც საბოლეები და აღარც უფროსის სადგომი ადგილი, პალუბა გაფუჭებული ჰქონდაო.

როგორც ხმა დადის, ანდჟუს ახლოს შეტაკება მომხდარა ჩვენსა და იაპონიის მზვერავ რაზმებს შორის. იაპონელები გაქცეულან. მეორე შეტაკების დროს, რომელიც იალუს ნაპირებზე მოხდა, მტერს თოფებით ცხენები მოუკლეს. იაპონიის კავალერია საჩქაროდ უკუქცეულა.

სეული. კორეის მთავრობასთან მოთათბირედ დაინიშნა იაპონელი ადტაში.

ლონდონი. პორტ-არტურის რაიონში ახალი არაფერი მომხდარა. იაპონელების სამხედრო მზადება კორეიაში ძლიერდება. დიდის სიჩქარით მიმდინარეობს ჯარის გადაყვანა და არტილერიისა და სამხედრო სურსათ-საკვების გადაზიდვა.

ჩემულპო. გადმოვიდა იაპონიის პირველი დივიზია, რომელსაც პრინცი ფუშიმა უფროსობს. მუშების ჯარში გაწვევისა გამო ძლიერ ფერხდება იაპონიის ვაჭრობა-მრეწველობა.

სეულიდან იუწყებიან, იაპონელები თხოულობენ, რომ კორეის საიმპერატორო ფერმებმა იაპონიის ჯარს ხორბალი მიაწოდონ ომის განმავლობაში. 20000 ჯარის კაცი იცავს ფერმებს მკვიდრთაგან. იაპონიის ადტაში იჯიჯჩი, დანიშნული კორეის სამხედრო მინისტრთან მოთათბირედ, კორეელებმა არ მიიღეს.

ლონდონი. კობედან დეპეშით იტყობინებიან, რომ ნიუჩუანში გადმოსული იაპონიის ჯარი მალე იერიშს მიიტანს ქალაქზე. ჰფიქრობენ, რუსები მუკდენისაკენ დაიწევენო. როგორც იაპონელების მიერ დატყვევებულ გემის „ეკატერინოსლავი“-ს მგზავრები ამბობენ, პორტ-არტურიდან დაბრუნებული იაპონიის ოთხი კრეისერი ძლიერ დაზიანებული იყო. იქიდანვე მოვიდა იაპონიაში ორი სატრანსპორტო გემი დაჭრილ მეზღვაურებით. რუსების გემის „მანჯურია“ რომელიც ჩაით იყო დატვირთული სამხედრო ნადავლად იცნეს.

ტოკიო. იტყობინებიან, იაპონიას ნაღდი ფული ომისათვის რვა თვეს ეყოფა, დღეში 50 მილიონი გირვანქა (?) რომ ჰხარჯოსო. იაპონიის პრესსა ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევად სთვლის რუსეთის მოქმედებას ჩინეთის პროვინციებში ლიახოს დასავლეთით.

ბერლინი. აქაური ხელმძღვანელი წრეები არ ეთანხმებიან საზოგადოების იმ აზრს, ვითომ იაპონელები სამხედრო საქმეების კარგი მცოდნენი იყვნენ; იმათის აზრით, იაპონელებმა კარგად ისარგებლეს პირველის გამარჯვებით და კმაყოფილდებიან უმნიშვნელო მოქმედებით.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. გერმანულ გაზ. „კრეუც. ცაიტუნგ“-ს სამხედრო მიმომხილველის აზრით, რუსებს ეშინიანთ, რომ იაპონელები შესტაკოვის ნავთ-სადგურიდან (ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაში) მდინარე იალუს სათავისკენ არ წავიდნენ და რუსის ჯარს გვერდიდან არ დაეცნენ. ამიტომ რუსები მდინარე ტუმენის შესართავიდან სამხრეთისაკენ გაემართნენ იაპონელების ჯარის გასაჩერებლად. აკი ამბავიც მოვიდა კენგ-შენგში რუსის მოწინავე რაზმები მივიდნენ და ეხლა პლაკსინის ყურისაკენ მიდიან იაპონელების დასახვედრადაო. ზოგიერთი მცოდნე კაცი ამბობს, პირველი დიდი ბრძოლა, ალბად, კორეის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილში მოხდებაო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: აქაური სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, იქნება იაპონელებმა იალუსაკენ აღარ გაილაშქრონ და ისევ პირდაპირ მუკდენისაკენ წასვლა ამჯობინონ, რადგან იალუზე გამაგრებულ რუსის ჯართან ბრძოლა მეტად გასჭირდებაო. („მ. ვ.“).

„ტაიმს“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის ესკადრამ კუნძულ ხაიუანდაოზე (პორტ-არტურს ახლო) რუსის ქვა-ნახშირის საწყობი ჩაიგდო ხელშიო („რ. ი.“).

დეპეშიდან ვიცით, რომ რუსისა და იაპონიის მოწინავე რაზმებს ამას წინად ჩრდილოეთ კორეიაში შეტაკება მოუვიდათ. ინგლისური გაზეთები ამნაირად აგვიწერენ ამ შეტაკებას. პირველი შეტაკება ისტორიულ ადგილას მოხდა, პინიანს ახლო, სადაც ამ ათის წლის წინად იაპონიის ჯარმა ჩინეთის ჯარი გაანადგურა. 15 თებერვალს, დილით ადრე, პინიანის ჩრდილოეთით, 10 მილის მანძილზე 54 რუსი ცხენოსანი გამოჩნდა. დილის 9 საათზე 5 რუსი ქალაქს ნახევარ ვერსზე მოუახლოვდა და გორაკებზე დადგა. იაპონელების მზვერავმა რაზმმა მაშინვე შენიშნა რუსები და პინიანის მეციხოვნე ჯარს შეატყობინა. მეციხოვნე ჯარის კაცები ქალაქის გალავანზე ავიდნენ და რუსებს თოფები ესროლეს. რუსებმა მაშინვე უკან დაიხიეს. ორი რუსი ცხენიდან გადმოხტა და ქვევითად წავიდა; ალბად, ცხენები დაუჭრეს. იქვე გორაკებს იქით 20 ცხენოსანი რუსიც იდგა. იაპონელებს არაფერი ზარალი არ მ[illegible] იაპონელმა გეხერალმა იფ[illegible] პატარა რაზმს რუსის დი[illegible] და დიდი ბრძოლა მოხდ[illegible] უცხოელს, [illegible]ნც კი ქალაქის გალავანს გარედ ცხოვრობდა, გამოუცხადა, გალავანს შიგნით შემოდითო. მაგრამ რუსები მალე სულ მიიმალნენ და არაფერი ბრძოლა აღარ მომხდარა. უცხოელებიც თავიანთ სადგომებში დარჩნენ და პინიანიდან წასვლას სულაც არ აპირებენ. („რ. ვ.“).

16 თებერვალს სუეცში შემდეგი რუსის სამხედრო გემები იდგნენ: საესკადრო ჯავშნიანი გემი „ოსლიაბია“, 1 რანგის კრეისერი „დიმიტრი დონსკოი“, [illegible] ფლოტის გემი „სარატოვი“, ნაღმიანი გემები № 213, „ბოდრი“ და „ბედოვი“. ამავე დღეს სუეცში შემოვიდნენ 1 რანგის კრეისერი „ავრორა“ და 5 ნაღმიანი გემი. ლონდონთან რუსის წყლის მზიდველმა გემმა „ვოლოდი მე-2“ გაიარა. ეს გემი პორტ-არტურს მიდიოდა, რომ რუსის ფლოტისათვის სასმელი წყალი ეზიდნა, კოლომბომდე (კუნძულ ცეილონზე) ჩავიდა კიდევაც, მაგრამ ეხლა, როგორც ეტყობა, ისევ უკან ბრუნდება კოტლინში (პეტერბურგს ახლო). („რ. ვ.“).

რუსეთის ფლოტის უფროსმა ვიცე-ადმირალმა მაკაროვმა, როგორც ვიცით, თავისი ბაირაღი კრეისერ „ასკოლდზე“ გაშალა. ასე რომ ბრძოლის დროს ადმირალი ყოველთვის ამ კრეისერზე იქნება. ადმირალი მაკაროვი წინააღმდეგია ჯავშნიან გემებისა, ამიტომაც თავისთვის დიდი გემი-კი არა, სუბუქი, უჯავშნო კრეისერი აირჩია. კრეისერი „ასკოლდ“-ი რუსის ფლოტში თითქმის ყველაზე სწრაფმავალი გემია: საათში 40 ვერსტამდე გადის. ამ კრეისერს ზარბაზნებიც სულ სწრაფ-მსროლელი აქვს: 12 ზარბაზანი 6 დიუმიანი აქვს, 12—75 მილიმეტრიანი და 12 უფრო ნაკლების ზომისა.

ხარბინიდან ატყობინებენ „ბერლ. ტაგებ.“-ს: ბლაგოვეშჩენსკში დარჩენილი იაპონელები აქეზებენ ჩინელებს, რაც ამურზე კერძო გემები დადის, სულ-ერთიან გაანადგურეთო. ქვა ნახშირის მაღაროებში ჩინელმა მუშებმა მუშაობას თავი დაანებეს და, როგორც ამბობენ, განზრახ მაშინები დაამტვრიეს. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას ქვა-ნახშირი ამ მაღაროებიდან მიჰქონდა.

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ, ჩინელ ვაჭრებს თავიანთი თანხები გააქვთ რუსეთ-ჩინეთის ბანკიდანაო („რ. ლ.“).

ტოკიოდან ამბავი მოვიდა, იაპონიის ზედა პალატის წევრებმა დაადგინეს, სანამ ომი არ გათავდება, ჯამაგირს ნუღარ მივიღებთო.

იაპონიის გენერლები. გერმანულ გაზ. [illegible]„გერ“-ის თანამშრომელი ოფი[illegible]ინად იაპონიის ჯარის ინსტრუქტორად ყოფილა) [illegible] ახასიათებს გამოჩენილ იაპონელ გენერლებს. ოფიცრის აზრით იაპონიის სამხედრო მინისტრი გენერალი ტერაუჩი, საზღვაო მინისტრი ადმირალი იამამოტო და ფლოტის მთავარ-სარდალი ადმირალი ტოგო მეტად ნიჭიერი ადმინისტრატორები, ორგანიზატორები და სარდლები არიან. ამასთანავე სამივენი ბეჯითი მუშა კაცები და მედგარ ხასიათის კაცებიც არიან.

ფელეტონი

იმერლის წერილები

წერილი მეორე

„მე დამღუპა, ყმაწვილო, ბანკმა!“—ასე დაიწყო თავის ამბავი, ერთი მოხუცებული სახლი-კაცი მყავს.—„ღერდანი, ღალბათი შვილი გამომეზარდა ერთი, კაკალი სული ამეიღო და ჩამაგირავებია ბანკში მამა-პაპისეული ადგილ-მამული და სახლ-კარობა. თვითონ კაი ჩერქეზული კნიაზივით ვასირმულ-გატყლაპული, ჩალეკურ-ლივერ-სატევრული მოაჯდა ბედაურ ლაფშას და ოუსვა და გამოუსვა. მე ორიდე გროში, თუ რამე დამრჩა, სხვისი ცოდნა და უნარი რომ არაფერის მქონდა, გავსწიე ეკენობაზე—ლეჩხუმს იარმუკობას, ვიყიდე კაი ძალი ხარმოზვერი საქონელი: ამას-თქვა ჩვენში ორ და სამ ფასად გავასაღებ-თქვა—ვიგუმანე.... ჯერ ერთი წყება გზაში გამიწყდა, რომ წამოვრეკე,—რაც გადარჩა, აქ გაუჩნდა ჭირი და სულ ერთიანად გამეჟუჟა...

აი, რატომ სნება და ჟუჟვა არ გოუჩნდება ამ ბანკის გამომგონს!

აგერ ოცდაათი წელიწადია წვითა და დაგვით ვიხდით ბანკის სარგებელს. რატო ხუთი და ექვსი იმდონი არ შევიტანე, რაც გამოტანილი მაქვს. გარეშე მიწები, რაც კი გამაჩდა, ერთიანად მივაპრადალე—ჩაკუშნა ბანკმა, ახლა კიდო დამრჩა ცამეტი წელიწადი—უნდა ვიხადო სარგებელი—და ამ ცამეტს წელიწადს, არ უნდა ჩიჩინი, ვიცი ნიყვივით ამიყვანს ის წყეული ბანკი, მარა ქე რა, უყო ახლა. აზნაუშვილი ვარ, ყმაწვილო, და ტოლ-მეგობრებში ხომ ვერ გა[illegible]ოვეეთოშები!

ბანკში რომ მამული არ დამეგირავებია—რა იმერელი აზნოუშვილი ვიქნებოდი მაშინ. ახლა რამდენი ბედნიერი დღე ჰქონდა ჩემს ოჯახს ამ ოცდაათ წელიწადში, და ყოველთვის რო ურა-კამპანია არ გადამეხადა—რა იმერელი აზნოუშვილი ვიქნებოდი?

ეხლა კიდევ რამდენი ჭირი და უბედურება მეწვია და ქელეხი, ალაპები და ორმოცები და წლის თავები რომ არ მეხადა—თავს სად გამოვყოფდი და რა იმერელი აზნოუშვილი ვიქნებოდი?..

გავყევი, გავყევი და ქე დავრჩი გაფცქვნილ-გაფხეკილი.

გეტყვი მე შენ—ერთობ ნაადრევი საქმე შეიქმნა ჩვენში ეს ბანკი. ოც-და-ათისა და ოცი-და-თუთხმეტის წლის წინეთ ქე კი არ უნდა დაეარსებიათ ის—ორმოცისა და ორმოც-და-ათის წლით უკან. რას ამბობს ე კვახი—ჯერ ახლაც არა გვაქვს ფულის მოხმარების შნო და ყაირათიო, რომ იციან სომხებმა, ღმერთმა იცის, როდის გვექნება, თვარა მაშინ ხომ სულ რა ვიყავით. მაშინ ნებიერს ცხოვრებას თითქმის რომ ახალი გამოთხოვებული ვიყავით. უზრუნველ-უდარდელობა კიდევ გვეჩნევოდა. ჯერ ახლაც, ამ ჩვენ დროს იმერელს რომ მანეთი უდევს ჯიბეში, ისე იბრინჯება და იჯგიმება—გეგონება დასტა-დასტათ უწყვია ასიგნაციები გამოკრულიო.

ე ბანკის ფულები რომ ჩავიბღუჯეთ გულჯიბეებში, გზაც უნდა გვცოდნოდა, რაში მოგვეხმარა, რა საქმეში. ეს იმას ჰგავს—გაკაპასებულს, გაუზნევებულს ბოვშს დედა რომ შაქრის ნატეხს მისცემს და თან ეტყვის: არ შეჭამო, ფია, ფიააო, ქიას გაგიჩენსო. დაარიდებს დედას თვალს თუ არა, ქია-კი არა, სულაც რომ გაუჩნდეს, მაინც გადა[illegible]

ყლუპავს.

ჩვენც ისე გადავყლუპეთ, რომ ჩაგვაბარეს ის ასიგნაციები და ახლა ქიაც ქე გაგვიჩნდა და ხვლიკიც.

არცა რა დედა გაგვიჩდა და არც მამაპატრონი ეთქვა რამე ჩვენთვის. არც დოვუჯერებდით...

ჰო და, თუ არავის რამეს დავუჯერებდით, იდეც იმიტომა ვართ ქია-ღუასაგან გამოხრულ-გამოფითულები.

ბიჭო და ქია არაა ვენახებს რომ წესი აუგო. გადააბრუნეთ მიწაო და ამერიკიდან მოტანილს ვაზზე დაამყენით თქვენი ვენახიო.

ვის უნახავს, სად გაგონილა, რა დრო მევიდა? ოთხ აბაზად საპანე ღვინო იყო. ღვინო და რა ღვინო მერე, ეს იკითხე შენ.

ბოვში-კი აღარ ვიყავი—შინაყმებმა წამიყვანეს ერთხელ მამა ჩემის ნამალავად ჭურის თავებზე. სასულედან ისლის ღეროებით დავუწყეთ წრუპვა ღვინოს. ორ-სამ სულის შეთქმაზე გაგვაბრუ და ტიკჭორებივით აგვაკოტრიალა. ახლანდელი ღვინო გიზამს ამას, ნაღლეტი და ათასნაირად შეპაჩინკებული? აკოტრიალებით-კი, ისეც აგაკოტრიალებს, მარა ერთი ორი-სამი ჩარექა მაინც უნდა შეშხო და მერე ორ-სამ დღეს კაცად აღარ ივარგებ,—გულს მოგწყვიტავს, შაკიკს შეგყრის, ჰყურტს აგიტეხს, კუჭს დაგისნეულებს შაბი-აბანი და სახაჩინაათ რაცხა ჯანაბა.

დრო იყო—მწვანე ღვინოს, დაბუხარისას ვინ მიიკარებდა. ოსტოურითა და ანადასტურის ღვინით ვიყავით გალაღებული. სულ მაღლარი იყო. ნაბადივით შეიმოსებოდა ხეები, დობილოები. ეს რო მოგვესპო, მიუხოჩდით მწვანეს და აგერ-ეგერ რო ადესის, იზაბელას ღვინო გაჩნდა—ერთობ ვუკადრისობდით: —ადესას რა დამალევებს, ყმაწვილო, ბალინჯოს სუნი აქვს, ქექვას ამიტეხსო—ვიძახოდით. მერე, აგერ ცოტა ხნის უკან, მწვანემაც რო გვიღალატა, ადესას ქე არ დეედვა ფასი. აღარც ბალინჯოს სუნი ჰქონდა და აღარც ქექვას გვიტეხდა... ჰო და, ახლა აღარც ისაა და მიყევი და მყენი ჩიპარიაზე, თუ ესეც მალე არ გეგეპარა.

—

ერთი ჩვენებური გლეხის ცოდვამ დამწვა და დამანელა. შვილი გოუწერეს სასალდათოთ, მამა ცოტას ქე მეიბოთავებს და შვილიც ნაკლები „სორტის“ გამოუვიდა. კენჭში ქე მოხვდა მისი შვილი, მარა მტერი და მოყვარე ყველა ეუბნებოდა:—ბიჭო, ნუ გეშინია, კაცო, ღმერთი, რჯული პირველნომერიც რომ შეხვდეს შენს შვილს, წაყვანით არ წაიყვანდნენ და ტყუილა ნუ ხლოფორთობ, ნუ შეგიჯდა ეშმაკი, არაფელი დახარჯოვო...

მარა ხო მოგეხსენებათ, ბევრი ვაწაფული მეძებარია ჩვენში, რომ ამისთანა შემთხვევას დღით ჩირაღდანით დეეძებენ. ერთმა ამისთანა მეძებარმა იკრა სუნი, აილო ალლო, და მიაკვლია საწყალს ბასილიკას. ოცდა-ათი მანათი ააფცქვნა, გადააშვლეპია—შენი შვილის დაბრუნება ჩემს კისერზე იყოსო—შეპირდა. იმისთანა დაბრუნება თქვენს მტერსა და ავის მდომს—ბასილიკას შვილი რო და[illegible] ბრუნდა. ერთის კვირის წინად, კენჭის ა[illegible]ლებამდის, შეექნა კისერა—ბატონები და[illegible] დაბრუნდა საწყალი ბიჭი.

ახლა თავ-ქუდ მოგლეჯილი დაფრინავს საწყალი მგლოვიარე მამა—ტირის შვილს და ცალკე სამს თუმანსაც... იტყვით, რა სახსენებელიაო შვილის დაკარგვასთან სამი თუმანი. ნუ ბრძანებთ ამას!..

ბევრ გზით დაჩგრულ გლეხისათვის სამი

სამხედრო მინისტრს მხნე თანაშემწე ჰყავს გენერალ-მაიორი იშიმიტო; იშიმიტომ დიდი შრომა გასწია ჯარის მობილიზაციისა და საომრად დამზადების დროს. მთავარ-შტაბის უფროსად მარშალი ოიამაა. ესეც ნიჭიერი კაცია, ჩინეთ-იაპონიის ომის დროს ძლიერ ისახელა თავი, ეგაა ოიამა მოხუცებულია, ასე რომ იმის მაგივრად უფრო მისი თანაშემწეები მუშაობენ. შარშანდლამდე თანაშემწედ მეტად ნიჭიერი კაცი— გენერალი ტამურა ჰყავდა, მაგრამ შარშან ტამურა უცებ, მოულოდნელად გარდაიცვალა; მთელი იაპონია მეტად დაღონდა, მაგრამ მაშინვე ყველამ ერთხმად სთქვეს, რომ ტამურას მაგივრობა მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრს გენერალ კოდამას შეუძლიაო. სამშობლოს სიყვარულით გატაცებულმა კოდამამ მინისტრობაზე ხელი აიღო და მთავარ-შტაბის უფროსის თანაშემწეობა იკისრა. ეხლანდელ სამხედრო მოქმედების პლანი კოდამას შედგენილია. პირველში ყველა სამხედრო განკარგულებაც კოდამამ მოახდინა. უნდა სწორედ ვსთქვათ, რომ იაპონელებმა ამ ომში დიდი მოხერხება და გამჭრიახობა გამოიჩინეს და ყველაფერი საქმე მეტად საიდუმლოდა და ფარულად გაარიგეს. მცოდნე ხალხი ამბობს, ეს პომეტებულ ნაწილად სულ გენერალ კოდამას უნარიაო.

იაპონელები ომის დროს სამ ან ოთხს კორპუსს შეადგენენ, თითო კორპუსში 4—5 დივიზია იქნება. ამ კორპუსების უფროსებად დაინიშნებიან გენერლები კუროკი, ოკა და ნოზუ. კუროკი და ოკუ აქამდე დასავლეთ და აღმოსავლეთ სამხედრო ოლქების უფროსებად იყვნენ, ნოძუ კი სამხედრო სასწავლებლების ინსპექტორად იყო. კუროკი და ნოზუ მეცნიერი სტრატეგები არიან და სამხედრო საქმე მეტად კარგად იციან. ოკა ნიჭიერი მუშა კაცია, კუროკისა და ნოზუსოდენა სწავლა არ მიუღია, მაგრამ იაპონიის ჯარს იმათზე კარგად იცნობს. იაპონიის სხვა გენერლებშიაც ბევრი ურევია კარგად ნასწავლი კაცი. ბევრს მათგანს სამხედრო ხელოვნება გერმანიის სასწავლებლებში შეუსწავლია სამხედრო ხელოვნების გათქმულ პროფესორებისაგან: მეკელისა, ოლდენბურგისა და ბლანკენბურგისაგან... („ნოვ.").

საუბარი კურინოსთან. შვედურ გაზ. „სვენსკა დაგბლადეტ"-ის თანამშრომელს იაპონიის ელჩი კურინო უნახავს სტოკჰოლმში და, რაღა თქმა უნდა, ლაპარაკი რუსეთ-იაპონიის ომზე ჩამოუგდია. კურინოს უთქვამს: „თუმცა რუსეთის მთავრობას გულწრფელად ეწადა მშვიდობიანობის დაცვა, მაგრამ აქავე დროს მანჯურიაში ყოველ დღე ჯარსა ჰგზავნიდა და პორტ-არტურში სამხედრო გემებსა, ერთის სიტყვით, საომრად ემზადებოდა. იაპონიის იმპერატორსა და ხალხსაც მშვიდობიანობის დაცვა ჰსურდათ და ომი ეზარებოდათ, მაგრამ იაპონიის მთავრობა კარგად ჰხედავდა, რომ რუსეთი ომის თადარიგში იყო, როგორ-და უნდა დაეჯერებინა, რომ პეტერბურგის მთავრობას ომი არა სწადიანო."

გაზეთის თანამშრომელს უკითხავს, დიპლომატიურ მოლაპარაკების შეწყვეტა როგორ მოხდაო. კურინოს უთქვამს:

„ვინც საჭირო იყო, ვნახე და ჩემის მთავრობის მონდობილობით ოფიციალურად ვსთხოვე პასუხის დაჩქარება. ამას გარდა კერძოდ მე თითონაც ვითხოვე, რომ პასუხი ჩქარა გაეგზავნათ იაპონიის მთავრობისათვის. ამას უნდა დავუმატო, რომ პეტერბურგში რუსეთის უკანასკნელ პასუხის შინაარსი არ შემატყვია. ჩვეულებისამებრ ეს ნოტა პეტერბურგიდან ადმირალ ალექსეევს გაუგზავნეს, ალექსეევმა კიდევ ტოკიოს მთავრობას გადასცა. რამდენის დღით წინ გაგზავნეს ეს ნოტა დიპლომატიურ მოლაპარაკების შეწყვეტამდე, მე არ ვიცი.

— მოლაპარაკება ისე უცებ მაინც რად შესწყდა?

— სულაც არ შეწყვეტილა უცებ. მოლაპარაკება სრული ექვსი თვე სწარმოებდა და ნაბიჯადაც წინ არ მიდიოდა, მანჯურიაში კი დიდძალი ჯარი გროვდებოდა. ჩვენც ავდექით და მოლაპარაკება შევსწყვიტეთ. მაშ რა უნდა გვექნა, სხვანაირად როგორღა უნდა მოვქცეულიყავით?" („მ. ვ.").

„თეთრი საფრთხე" ამ 3—4 წლის წინ გერმანიის იმპერატორმა ველჰელმმა სიმბოლიური სურათი დახატა და ქვეშ წააწერა „ყვითელი საფრთხე". გერმანული გაზ. „ალგ. ლუსტრ. ცაიტუნგ"-ი იუწყება: გათქმული იაპონელი მხატვარი ხიროშიტე ამ ჟამად დიდ სურათსა ჰხატავს იმპერატორ ვილჰელმის სურათის პასუხადაო. იაპონელ მხატვრის სურათს ქვეშ წაწერილი ექნება: „თეთრი საფრთხე", ან „საფრთხე დასავლეთიდან". ეს სურათი ამნაირად იქნება დახატული: წინა დგას თავით ფეხებამდე შეიარაღებული იაპონია და წინასწარმეტყველივით ხელი დასავლეთისაკენ გაუწვდია. იაპონიას ჩინეთი ეხვევა მუდარით; აქვე ამაყი ინდოელი დგას, ცოტა მოშორებით სახე გაშლილი მალაელი და კორეიელი დგანან. ყველანი დასავლეთისაკენ იცქირებიან. იქ კი შორს თეთრი ჯვარი მოსჩანს თეთრის შუქით განათებული („ნ.").

ინგლისელების მოქმედება სპარსეთში. ინგლისელები არსად არ უსვენებენ რუსეთს. „ნოვოე ვრემია"-ს დეპეშით ატყობინებენ ასხაბადიდან: ქალ. სეისტანი და ხოროსანი ინგლისელ საიდუმლო აგენტებითაა სავსე. ეს აგენტები ბეჯითად მოქმედებენ და სპარსეთის ხალხში იაპონელების გამარჯვების ამბებს ავრცელებენ. რუსის გამსესხებელ ბანკის მმართველმა ტეჰრანში გრუბემ ყურადღება მიაქცია ინგლისელების აგიტაციას; ბრძოლის ველიდან მიღებულ დეპეშებს სპარსულად ათარგმნინებს და მეჩეთში გასავრცელებლად ჰგზავნის".

ინგლისი და რუსეთი. ინგლისური გაზ. „ექსპრესი" სწერს: საყურადღებოა, რომ რუსეთის ელჩი გრაფ ბენკენდორფი, მას აქეთ რაც ლონდონში დაბრუნდა, მეფე ედუარდმა სამჯერ მიიღო აუდიენციაზეო.

ხმა დადის, ვითომ ედუარდ მეფეს რუსეთისა და იაპონიის მორიგება ეწადოს, მეფეს ჰსურს, რომ შუამდგომლობა რამდენიმე სახელმწიფომ იკისროსო. გერმანულ გაზ. „ვინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტს ამის თაობაზე ლონდონში იაპონიის ელჩი ბარონ გაიაში უნახავს. გაიაშის გადაჭრით უთქვამს: ეხლა, როცა ეს-ესაა ომი დაიწყო, რუსეთისა და იაპონიის მორიგება შეუძლებელია, რადგან ამ ორ სახელმწიფოს მეტად სხვა-დასხვა, ერთმანეთის წინააღმდეგი ინტერესები აქვთო.

საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს მდივანმა მისწერა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს, კარგი იქნება, ინგლისმა შუამავლობა იკისროს და რუსეთი და იაპონია მოარიგოსო. ლორდ ლანსდოუნმა უპასუხა: ინგლისის მთავრობას არა აქვს იმედი, რომ მეომარი სახელმწიფოები ჩვენს შუამავლობას დასთანხმდნენ. ინგლისმა რომ ამ ჟამად ასეთი წინადადება მისცეს რუსეთსა და იაპონიას, —ეს დიდი პოლიტიკური შეცდომა იქნებაო. („რ. ვ.").

„ნოვოე ვრემია" იუწყება: ინგლისის საადმირალომ უბრძანა დიდ-ოკეანის ამხანაგობის (კანადაშია) გემებს, ამას იქით 6 დიუმიანი ზარბაზნები იქონიეთო. ამნაირად გემები „იაპონიის დედოფალი", „ჩინეთის დედოფალი" და „ინდოეთის დედოფალი" მალე მაშველ კრეისერებად იქცევიანო.

ამერიკა და იაპონია. გერმანულ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ"-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდან: შორეულ აღმოსავლეთის ზღვაში მყოფ ადმირალ ევანსის ესკადრას კიდევ ერთს ჯავშნიან გემსა და რამდენსამე კრეისერს მოუმატებენო. ამ ჟამად ამერიკას შორეულ-აღმოსავლეთის ზღვებში 3 ჯავშიანი გემი უდგას, 5 დიდი კრეისერი და სხვა ნაირ-ნაირი უფრო წვრილი გემები („რ. ი.").

გერმანიის ნეიტრალიტეტი. „ნაციონალ ცაიტუნგ"-ში ერთი გამოჩენილი გერმანელი იურისტი ამტკიცებს: ნეიტრალიტეტის ძალით გერმანია მოვალეა, მეომარ სახელმწიფოების სამხედრო გემები იმპერატორ ვილჰელმის არხში (კილის არხში) არ გაატაროსო. ეს არხი გერმანიის საკუთარ სამფლობელოშია გაჭრილი და ამ მხრივ დიდად განსხვავდება სუეცის არხისაგან. როგორც გერმანიის სამფლობელოზე მეომარ სახელმწიფოს ჯარის გატარება არ შეიძლება, ისე ამ არხშიც სამხედრო გემების გაშვების უფლება არა აქვს გერმანიას („მ. ვ.").

ახალი ამბავი

✦ პეტერბურგიდან უკვე ჩამოვიდა კავკასიის **მთავარ-მართებლის თანაშემწე** გენერალი ა. ა. ფრეზე.

✦ რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე სხვა-და-სხვა **საქონლის გატანამ იკლო**, რკინის გზის გამგეობა უბრუნებს სხვა რკინის გზებს დროებით ნაქირავებ სამას ვაგონს.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის ლომბარდის გამგემ სთხოვა გამგეობას, შუამდგომლობა აღძრას საბჭოს წინაშე, რომ გადიდებულ იქმნას **ლომბარდის საწარმოვო თანხა** და აგრეთვე გაიხსნას ლომბარდის განყოფილება. როგორც ლომბარდისა, ისე განყოფილების საწარმოვო თანხის გასაძლიერებლად, გამგეს აზრით, უნდა აღებულ იქმნას საობლიგაციო სესხი 350,000 მანეთისა. აქედან 200,000 უნდა მიეცეს ლომბარდს, ხოლო 150,000 მან. განყოფილებას.

✦ სადამოჟნო გარდასახადების დეპარტამენტმა შეატყობინა გუშინ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ იმან წინადადება მისცა ოდესისა და ბათუმის სადამოჟნო გამგეობებს, ნება დართოს კავკასიის სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათათვის **საზღვარ-გარეთიდან შემოიტანონ** უბაჟოდ 680 ფუთი შვეინფურტის ბალახი.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადაათვალიერა ყველა სადგურსა და გამგეობაში არსებულ **შემნახველ კასების** მოქმედება. როგორც აღმოჩნდა, ამ კასებს შორის მარტო გამგეობისა და სადგურ საბუნჩის კასებს უმოქმედნიათ რიგიანად. უფროსმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და ცირკულიარი გამოსცა, რომ კასების გამგეებს წლის დამლევს ჯილდოები დაურიგდებათ, თუ კასები კარგად იმოქმედებენ.

✦ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის სასწავლებელში** რკინის გზის ჟანდარმთა ბავშვებს

თუმანი კაი გვარიანს სიმდიდრეს შეადგენს.

სამის თუმნით ის ქალიშვილის იღბალს სწყვეტს. სამი თუმანი თუ აქვს, თუთხმეტს წელიწადს თავისუფალია მღვდლის დრამისაგან. ამ დრამისა (სიტყვამ მოიტანა) ვერა გაუგიათ-რა. როდის და რაფერად დაკანონდა ეს ორ-ორი მანათი დრამა—ამის ვითარებაში არიან. ეს ჯამაგირები ხო გაუჩინეს ძლიერ მამათ და დრამა და სხვა ხარჯი ისევე ძველი რჩება. ხარჯი და მერე რამდენი ხარჯი—აღარ იკითხავთ: საწირავში ფული, სანათლავში ფული, საზიარებელი ფული, სააიზმო ფული, შენ ხარ ჩემი ბატონი, სამარხი ფული, ზეთის საკურთხი ფული, ჯვრის საწერი ფული და კიდო რამდენი, ერთ დღეს ვერ ჩამოვთვლი, ამდენი ხარჯი, ამდენი ჯამაგირი და ეს დრამა კიდო.

ეს მიწურული თვე მაინც, დიდ-მარხვის წინათ, როგორც თავათაც არ აღმოსთქვა ჩვენმა მოძღვარმა თვის წმინდა ბაგეებით— ნამდვილი სთველია მღდელთათვის. ჩვენს პატარა სოფელში თერთმეტი ჯვრის წერა იყო—თერთმეტი რგვალი თუმნიანი ოქრო ჯიბას გეიკრა ჩვენმა მოძღვარმა.

დიდი ძუნძულ-ძუნძული იყო მაშვლების სახლისაგან საცოლესთან, საცოლესაგან სასიძოსას.

მაშვლისთანა მოქნილი ენა, გარდა ადვოკატისა, მე არ მეგულება, რამე სხვა ხელობის კაცს ჰქონდეს. მართლის მთქმელი მაშვალი, ვითარცა სიმართლის მოლაპარაკე ადვოკატი, ლელოს ვერ გაიტანს. ისეთი მოქარგული ენა უნდა ჰქონდეს—სულ თაფლი მოდიოდეს პირიდან, შავი ყირმიზად დაგისახოს, დუხჭირი—მზეთ-უნახავათ. მაშინ გეიკრავს ის სამაშკალოს 5 მანათს და მზითევიდან კიდო ათის თავს. ეს ჯილდო ატრიალებს იმის ენას.

მარა მაშვალი ხშირად რჩება პირში ჩალაგამოვლებული და მერე საჩივლელად უხდება საქმე. ან ერთი მხარე, ან მეორე იხიმანებს რამეს, გამოუძებნის იმერულ ხრიკს და მერე ზედ რუსულ „ოტკაზს" მიაყოლებს.

ასე მოუვიდოდა ჩვენებურ დაოსტატებულს მაშვალს გიგოიას, რომ ხრიკზე ხრიკი არ ეხმარა. საქმე გაიჩისტა და, უნდა მოგახსენოთ, კაი გასასაღებელიც გაასაღა იქეთურიც და აქეთურიც—ქალიც და ბიჭიც. ოთხ თუმან ნაღდ მზიდევიდან ათის თავი 4 მანათი ქე იჯიბა, რადგან ამ ფულმა მაშვლის ხელში უნდა განვლოს და გიგოია ისე ბოვშვი არ იყო, რომ თავის 4 მანათი არ ჩამეეტოვებაი, როცა სიძის კუნჭულს უთვლიდა მზითევს, ეს ქე იჯიბა, მარა სამაშვალოზე შვლიჭეს უარი, ხუთ მანათზე, დაკანონებულ ხუთ მანათზე და ეს ეცა ცლდათ: „ე, ბიჭო, ნუ გამიშობთ საჩივლელად, თვარა მე ჩემსას არ დავკარგავ, კარგად უნდა იცოდეთო"—ბევრი იძახა გიგომ, მარა ყურიც არავინ გააპარტყუნა.—ხო მასე, აპა, კაი, და ეს ულვაში...—თუ"-ო?—დაიჩემა გიგოიამ, გადისვა ხელი ულვაშებზე და ჩაიქნია თავი.

იხსკვნეს გვირგვინი. „ნეფეიეს" გალობით მოუძღვნენ მაყრები ახალ-ჯვარ-დაწერილებს. ორმა მაყარმა იშიშვლა დაჟანგული ლესკური და გადააჯვარედინეს შესავალ კარებში, მიართვეს სიძე-პატარ-რძალს შაქარი და პური. მაშვალს შემოსავალ კარებში ბაწრის ხაფანგი დაუგეს, გიგოია ასცდა განსაცდელს—„ვერ მოგართვეს პატრიჯანი."-ო და გადაახტა საშველ ხაფანგს. თვარა მაშვალი ლორიაო, იტყვიან ჩვენში, გახლართავენ ამ ხაფანგში და ერთ ხანს სიცილხარხრით და მასხარობით, აკოტრიალებენ სოხანეში. გიგოია ასცდა ამ განსაცდელს, როგორც მოგახსენეთ, და სწორედ თავის გამაშველებელს ნეფე-დედოფალს დაუსკუპდა სუფრის წინ. „ჩაის სტაქანი მასინძელო"-ო— დაიძახა ვინცხამ. მოიტანეს და ნეფე-დედოფალს დოუდგეს წინ, იწყო რიჩხინი სტაქანში თავ-გადასაგდებმა. გიგოია გეზელი მიმინოსავით მისჩერებია ჰქას. რო შეატყო— ახლა კი იქნება ნამდვილად ხუთი მანათიო, სტაცა ხელი და სდურათ:—ეს ჩემი სამაშვალო ხუთი მანათიო, ქორწილი და ლხინი თქვენთვის დამილოცია-ო—და სდურთა, ჯერ ხუმრობა ეგონა ყველას, მარა გიგოია მირბის, ზე გადაიარა ეზო... წამოვარდა გარდაქეშანი სიძე, იშიშვლა მახვილი და გამოუდგა. თავ-გადასაგდები სიძისაა და ამან გააცეცხლა. გიგოია ამასობაში ხიმეებს გადეევლო. ნეფე აღარ გაუშვეს. მაგიორად სიძის მაყრებმაც მიიღეს ეს გარემოება „აბიდათ"— მარა ესენიც შეაჩერეს. ერთმა მაყარმა აჽ დროს გიგოიას ცოლს წაავლო მკლავში ხელი და მიაძახა: „გოგია, გოგია, მიდიხარ, მარა ამას ვის უტუებ აქანა?! ნიჩავო, კაი ბეა მა ხუთ მანათში, შვილო! წადი, აპა, და ჩვენ ვიცით და აჲ თქვენმა მეუღლემ"-ო!

გიგოიას გლახათ ეცეცხლა ეს ამბავი; ერთი შედგომა-შედგა ვითამ და აპირობდა გამობრუნებას, მარა სძლია ხუთმა მანათმა და მეორე ეზოდან გადმეიძახა.—„ანაბრე ჩემს საქმეს, მა მილეთ ხალხში და ალაიაში რაცხას უზამ მა ჩემს ქალს, აგერ არ ვნახავ"-ო, და აღარ მოუხედავს, სდურთა....

მერე აღარც მე ვიცი, რა მოხდა...

ამისთანა და ამაზედ კიდო უცნაური ამბები, მაშვლების ხრიკებით და ოსტატობით გამოწვეული, ბევრი ხდება ჩვენში, ნამდვილი საკამენდიო ამბები! ნამეტურ კაი საყურებელია, როცა ორი მაშვალი შეეჯიბრება ერთმანეთს, რა ქამანდებს არ აწყობენ, რას არ მეიგონებენ...

ერთი სასიძო ბიჭი მივიდა ქალის სანახავათ და მეინდომა მაინც და მაინც, თუ მარჯვენა ფეხი ტიტველი არ დოუნახე, ისე ვერ დავნიშნავ ქალსო. ქალის მშობლებს ძალიან ეუცხოვათ ასეთი მოთხოვნილობა, მარა რაკი შვილის ფეხზე არაფერი ნაკი ეგულებოდათ—გახადეს... სანეფო მივიდა, დახედა:—აი, ხუთი სახარება გოუწყრა იმასო სთქვა—და მიართვა ნიშანი. აღმოჩნდა, რომე მეორე მაშვალს, რომელიც სხვა ქალს ურიგებდა, ეთქვა:—ვას თხოულობ, ბიჭო, მარჯვენა ფეხზე სამი თითის მეტი არა აქო!

კამენდიაა, აპა რაა?!

ყრუა სოფელი.

ავად-მყოფი ყავს სახლში. ორ-ორ, სამსამ ფოშტაზე მიძუნძულობს ქირისუფალი:— არიქა დახუნდარაძის ქალის წამალიო, უშველე წიწილაშვილის წამალიო, დოლონაძე, თვალ-ნაკრავია, გამოლოცვა უნდაო, ზენარიო... ათასი ამისთანებით თავტარაბუას უსხამენ სოფლის დაოსტატებული მარჩიელები გარეტებულს ავად-მყოფის პატრონს...

და ქუთაისი კი ორ ნაბიჯზეა თავის ექიმბაშებით, სწავლულებით, ჯაინოზებით...

და რა ჰქვია ამას, რომე ჩვენს დროში განათლებულ დროს რო უძახით, ბევრნი ეძებენ კიდო დახუნდარიძეს, წიწილაშვილს, დოლონაძეს და სწავლულ ჯაინოზებს სათოფეზე არ ეკარებიან. ბევრია ამისთანა და რატომ არის ეს ასე—ამის ახსნას, ეჰ, ბიძია, რამდენი დრო უნდა და აწერა —მე სადა მაქვს ამისი თავი!..

ჯიბილა.

მხოლოდ მაშინ მიიღებდნენ ხოლმე, თუ თავისუფალი ადგილი მორჩებოდა სხვა მოსამსახურეთა შვილებს. ახლა-კი ცირკულიარით გამოცხადდა, რომ ჟანდარმთა შვილებსაც ისევე მიიღებენ, როგორც სხვა მოსამსახურეთა შვილებს.

✦ რადგან ძლიერ **დიდ-ძალი მგზავრი დადის** ტფილისსა და გუმბრს შუა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ სახალხო მატარებელს ერთი მესამე კლასის ვაგონიც მოუბან ყოველ დღე.

✦ ჩვენის თეატრის **ახალგაზრდა არტისტები** ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობითა და რეჟისორობით 9 მარტს სდგამენ „ურიელ-აკოსტას“. აკოსტას როლს შეასრულებს ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომს **ელექტრონით ანათებენ.** სინათლის გამოსაყვანად მუშაობა უკვე დაიწყეს.

✦ ვილნოს სამხედრო ოლქის ინტენდანტი გენერალ-მაიორი აგაპიევი დაინიშნა კავკასიის **სამხედრო ოლქის ინტენდანტად.**

✦ გუშინ ტფილისის გამგეობის წევრმა კოკზაევმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება თვით-მმართველობის დაწესებულებათა გათბობის შესახებ. დღევანდლამდე ქალაქის დაწესებულებანი შეშას ხმარობენ, რაზედაც ყოველ წლობით 10,000 მან. იხარჯება. კოკზაევის ცნობებით, ქვანახშირით გათბობა ორჯელ იაფად დაჯდება. ბ-ნ კოკზაევი წინადადებას აძლევს გამგეობას, პირობით შეეკრას ტყიბულის ქვანახშირის მწარმოებელ საზოგადოებას, რომელიც ფუთს 17 კაპეიკად დაუთმობს.

✦ კავკასიის სამკურნალო ნაწილის უფროსმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებას ნაბერეჟნი ქუჩაზე საელექტრონო სადგურისთვის თხრილის გაყვანის დროს დაუქცევია მიხეილის სამკურნალოს სუდით ავადმყოფთა განყოფილების სადგომის წყლის არხი და აგრეთვე ფეხის ადგილის მიდები. როდესაც სამკურნალოს უფროსი ექიმი შეჰკითხვია სამუშაოების გამგეს, ამ უკანასკნელს უთქვამს, საელექტრონო სადგურს გაშენებთ იმ გეგმით, რომელიც ქალაქის გამგეობამ და შემდეგ ქალაქის საქმეთა საკრებულომ დაამტკიცაო. სამკურნალო ნაწილის უფროსი ამის გამო ეკითხება ქალაქის გამგეობას, მართლა ქალაქის გამგეობამ ისეთი გეგმა დაუმტკიცა უსახელო საზოგადოებას, რომ მან თავის საქმისთვის სხვათა შენობანი უნდა დაანგრიოსო, აგრეთვე ვისია ის ადგილი, სადაც საზოგადოება სადგურს აშენებს და ან ვინ უნდა იკისროს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც სუდით ავადმყოფთა განყოფილებას მოუვიდაო.

✦ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, საბჭოს დადგენილებისამებრ, ლომბარდს უნდა მიეცეს 80,000 მან. საობლიგაციო სესხიდან. რადგან ობლიგაციები ჯერ არ განაღდებულა, ლომბარდს კი ფული აღარ ჰქონია, ხოლო გასასტუმრებელი ვალი 1 მარტისათვის 16754 მანეთამდეა, ლომბარდის გამგემ სთხოვა გამგეობას—ეს ვალი იმ 80,000 მანეთიდან გაისტუმროს, რომელიც ლომბარდს ასესხა. გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ლომბარდის გამგეს აღნიშნულ ვალის გასასტუმრებლად, მთავრობას თვეში 2,000 მან. აძლიოს იმ დრომდე, ვიდრე ობლიგაციები განაღდდება.

✦ აჯიქაბული: 1 მარტს, საღამოს 6 საათზე, მუშა მატარებელს № 861-ს მესამე ლიანდაგზე, სადაც დატვირთული ვაგონები იდგა, ურთქლმავალი დაეჯახა და ათი ვაგონი დაზიანდა.

✦ მაწანწალა ძაღლების დამჭერმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ 1 მარტიდან 15 მარტამდე იგი ძაღლების ჭერას შეუდგება შემდეგის წესით: პოლიციის 1 ნაწილში—2 და 3 მარტს, მე-2 ნაწილში—4, 5, მე-3—6 და 8, მე-4 ნაწილში—9 და 10, ხოლო მე-5 ნაწილში—11, 12 და 13 მარტს.

ბათუმის ქალაქის საბჭო

23 თებერვალი

ამ კრების დაწყებისთანავე საბჭოს დარბაზში ხმოსანთ ეუწყა თვით ბათუმის სამხედრო გუბერნატორისაგან ის დეპეშა, რომელიც მან მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრისაგან პასუხად ქალაქის თვით-მმართველობის მიერ გაგზავნილ დეპეშისა, რომელშიც მცხოვრებთა უქვეშევრდომილესი გრძნობა იყო გამოთქმული და შეწირვა ათი ათას მანეთისა წითელ ჯვრისა და ფლოტისთვის. როცა გუბერნატორმა აცნობა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მოხსენებაზედ ინება მადლობის გამოთქმა, დარბაზში სამჯერ „ურა“ შესძახეს. ამასთანავე სამხედრო გუბერნატორმა წაიკითხა ახლად მიღებული დეპეშა იაპონიის ესკადრის მიერ ვლადივოსტოკზედ იერიშის მიტანის შესახებ. მერე საბჭო შეუდგა მორიგ საქმეთა გარჩევას. ბათუმი აპირებს ახალ წყლის მილის გამართვას, რადგან დღევანდელი ვეღარ აკმაყოფილებს. წყალი უნდა გამოიყვანონ მდ. ყორნისთავიდან, ბათუმიდან ცხრა ვერსის სიშორიდან. გეგმა უკვე შედგენილია ინჟენერ მიხაილოვის მიერ, რომელიც ქუთაისში ამგვარსვე საქმეს მოთავეობდა. გეგმაში ხარჯი ნაანგარიშევია 450 ათასი მანეთი; თითქმის ცხრა წელიწადია ქალაქის თვით-მმართველობა ამ დიდათ საჭირო საქმეს ევლება და წრეულს, როგორც იქმნა, მიიღო ნებართვა იმის განხორციელებისა, რისთვისაც საპორტო კომიტეტმა გადაუწყვიტა 450 ათასი მანეთი უპროცენტოთ, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ვალი შეივსოს იმ ფულის ნახევრის გადახდით, რაც ქალაქს შემოუვა წყლის გაყიდვისაგან; ამასთანავე პირობას უდებს ქალაქს, რომ თითო ვედრა წყალში მცხოვრებთ უნდა ერთმეოდეთ 1/6 კაპეიკი და პორტში ნახარჯ წყალზედ 1/2 კაპიკი. ეს გარემოება, რასაკვირველია, გამოიწვევს იმას, რომ ვედრო წყლის ფასი 1/6 კაპიკზედ მეტი შეიქმნება, როგორც სამართლიანად შენიშნეს ზოგიერთმა ხმოსნებმა, და მცხოვრებთ საქმეს გაუჭირვებს და გაუძნელებს. რადგან წყალი ფასით მიეცემა მცხოვრებთ, ქალაქის თვით-მმართველობა, როგორც იგი ახლავე აცხადებს, იძულებული იქნება მხოლოდ რამდენსამე ადგილას გამართოს წყლის ონკანი და არა ისე ბევრს ადგილას, როგორც ახლაა; ამის გამო წყლის ფასს (1/6 კაპ.) ზედ წაემატება ფასი წყლის მიტანისათვის და ამრიგად ძლიერ გააძვირებს წყლის ფასს და ამით, რასაკვირველია, გაადვილების, შეწევნის მაგიერად, ახალი წყლის მილი მხოლოდ მძიმე ხარჯათ დააწვება შეუძლებელ მცხოვრებს, ე. ი. ბათუმელთა უმეტესობას. რასაკვირველია, ამგვარ პირობებით გამართული წყლის მილი ვერაფერი სახარბიელო რამე იქნება და თითქმის ერთიანად ამ საგნის გასარჩევად დანიშნულმა კომისიამაც და საბჭომაც სამძიმოთ სცნო ამგვარი პირობები ქალაქისათვის. ქალაქს დღეს წყლის მილისაგან შემოსავალი აქვს თითქმის ათი ათას მანეთამდის, წყალსაც მცხოვრებთ აწვდის უფასოდ; ფასს ახდევინებს მხოლოდ იმათ, ვისაც სახლში აქვს გაყვანილი წყალი. საბჭომ ამოარჩია კომისია, რომელსაც დაევალება თვალყურის დევნა წყლის მილის მუშაობისათვის და აგრეთვე ქაობ ადგილების დასაშრობ მუშაობის გაგრძელებისათვის (რაზედაც ქალაქს ეძლევა 218 ათასი მანეთი). კომისიაში მოხვდნენ ხმოსნები: ბ-ნნი ი. საზონოვი, ი. პანასევიჩი, ლ. ქიქოძე, ნ. საბაშვილი და თავ. მ. ნაკაშიძე. პეტერბურგის ქალაქის თვით-მმართველობას განუძრახავს ორასი წლის იუბილეის აღსანიშნავად შრომის ბირჟის დაარსება. რადგან დიდი ფული სჭირია, მიუმართავს ყველა ქალაქებისათვის, რათა მონაწილეობა მიიღონ ამ სასარგებლო დაწესებულების ძომართვაში, მით უფრო, რომ პეტერბურგში ყოველ კუთხიდან თავს იყრის მუშა ხალხიო. ჩვენმა საბჭომ სრული თვისი თანაგრძნობა გამოსთქვა ამგვარ დაწესებულების გამართვის განძრახვისათვის, მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ აქაური მუშა ხალხი პეტერბურგში თავს ვერ ამოჰყოფს და პეტერბურგში შრომის ბირჟის გამართვით ადგილობრივ მუშაობის მაძიებელ ხალხს არასფერი ესარგებლება, უარი განაცხადა შემწეობის ამოჩენისა. იმ ადგილებს, სადაც აკრძალული იყო მაგარ სასმელების დუქნების გაღება, ახლად შეერიცხა ის ნაწილი ვოზნესენსკის ქუჩისა, სადაც შენდება ქალთა გიმნაზია და იმის მახლობელი ადგილები ოდესის ქუჩისა, სადაც იმყოფება „პერესილოჩნი პუნკტი“. ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობას აქვს ხორცის დუქანი. ვაჭრობა ამ დუქანში არა ერთ გვარათ მიდის ხოლმე. მოხდება ხოლმე, რომ ქალაქის დუქანში ხორცი გაცილებით მეტ ფასში იყიდება, ვიდრე კერძო დუქნებში. გამგეობის წევრის ბ-ნ ქურულის განმარტებით, ეს ხდება იმის გამო, რომ კერძო დუქნებში ხშირად კამეჩის ხორცს ჰყიდიან ძროხის ხორცის სახელით და რადგან კამეჩის ხორცი ნაკლებად ღირს, ამიტომ ნაკლებ ფასებში იყიდება კარგი ხორციც. ეს კონკურენცია ქალაქის ხორცის დუქანთან იწვევს იმას, რომ ქალაქის დუქანს მუშტარი აკლდება და, რასაკვირველია, ზარალიც ეძლევა. ქალაქს ხორცის დუქნით ორი ათას შვიდასი მანეთი უზარალნია. აი სწორედ ამის ასაცილებლად გამგეობას განუძრახავს კამეჩის ხორცით ვაჭრობის გაწესრიგება ამ რიგათ: იმ დუქნებში, სადაც იყიდება კამეჩის ხორციც, თვალსაჩინო ადგიზედ მსხვილის ასოებით დაწერილი განცხადებანი იქმნას გამოკრული შემდეგის წარწერებით; „აქ იყიდება კამეჩის ხორცი“, ამასთან სასაკლაოდან ცნობა მიეცემა აგენტებს, თუ რომელმა ხორცით მოვაჭრემ რამდენი კამეჩი დაჰკლა ყოველ დღე. გადაწყვეტილ იქმნა აგრეთვე, რომ ქალაქის დუქანში ხორცით ვაჭრობა სწარმოებდეს სამი თვის განმავლობაში არა მოიჯარადრეს შემწეობით, როგორც აქამდის იყო, არამედ ისე, რომ გამგეობა თავად ყიდულობდეს ხოლმე საკლავ საქონელს.

ბათუმში არსდება მცხოვრებთა შორის ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება. ჩვენს ბანკებს განზრახულ საზოგადოების შემმზადებელ კომიტეტისათვის განუცხადებიათ, რომ საქმეს იქონიებენ იმასთან მაშინ, თუ რომ საზოგადოებას ქალაქისაგან საკმაო გარანტია ექნებაო. საბჭომ, გამგეობის წინადადებით, გადასწყვიტა, აღმოუჩინოს საზოგადოებას გარანტია 30 ათასი მანეთისა. მეტად საინტერესოა ის განცხადება, რომელიც გამგეობაში შეიტანა ქალთა გიმნაზიის შენობის მოიჯარადრემ ბ-ნ შაპირომ. იგი თხოულობს ქალაქისაგან ექვსი ათას მანეთს. იმ გეგმაში, რომელიც საამშენებლო განყოფილების მიერ გარჩეულ და დამტკიცებულ იქმნა, შეცდომით ჩაწერილი ყოფილა შენობის კედლების შელესვა 10 ათასი მანეთის მაგივრათ 3500 მანეთი, ე. ი. შეპარულა არითმეტიკული შეცდომა, რისგამო საერთო ხარჯიც შენობისა დათვლილია ექვსი ათას მანეთით უფრო ნაკლები. საჯარო ვაჭრობა ორჯელ მომხდარა. პირველად არავინ აიღო. მეორედ კი ბ-ნ შაპირომ აიღო და სწორედ იმ ფასში, როგორც ქალაქის გეგმაში იყო ნავარაუდევი. ახლა შაპირო თხოულობს ქალაქისაგან ამ 6 ათას მანეთს. გამგეობა და საამშენებლო განყოფილება უარს ეუბნება შაპიროს ფულის მიცემაზედ, რადგან, მათის მოსაზრებით, მან აიღო შენობა იმ ფასში, რომელიც გეგმის ბოლოშია აღნიშნული. საბჭომ არ იკისრა ამ საქმის გადაწყვეტა და დაადგინა, გადაეცეს იგი სასამართლოს და მან დასდოს თავის განაჩენი. არჩეულ იქმნა კომისია ბათუმის ლომბარდის გასულ წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განსახილველად. დასასრულ ბათუმის ქალთა სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს მეთხე წევრად არჩეულ იქმნა გამგეობის წევრი გ. ქურული.

რუსეთის ქრონიკა

✦ მიმდინარე 1904 წლის ბიუჯეტით გადადებული ფული შეუმცირდება ყველა უწყებას, გარდა საერო განათლების სამინისტროსა.

✦ ფინანსთა მინისტრის ცირკულიარის თანახმად, საქარხნო საქმეთა მთავარმა საკრებულომ აუწყა სათანადო დაწესებულებათ, უსათუოდ აეკრძალოს მუშაობა თამბაქოსა და მახორკის ფაბრიკებში იმ მცირეწლოვანთ, რომელნიც 13 წელზე ნაკლებნი არიან.

✦ ბეჭდვითი საქმის მთავარ გამგეობის განკარგულებით, ორის კვირით შეჩერებულ იქმნა გაზეთი „კოტკანიპეტერ“-ი, რომელიც ფინლიანდიის ქალაქ კოტკაში გამოდიოდა.

✦ ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი დეპეშით ატყობინებს წითელის ჯვრის საზოგადოებას, საჩქაროდ მოგვაშველეთ ჩაი და შაქარი ჯარისათვისაო.

✦ როგორც ციმბირის გაზეთები იუწყებიან, ციმბირის ყოველ კუთხიდან ამბავი მოდის, რომ ყოველ საქონელზე ფასები განსაცვიფრებლად მატულობსო.

✦ „ხარბ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „როგორც კი ხმა გავრცელდა, იაპონელები იხიზნებიანო, მთელი ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის მოსამსახურენი შიშის ზარმა მოიცო. უფრო შეძლებული მოსამსახურეები სტოვებენ რკინის გზას და ევროპის რუსეთსა და ციმბირში გარბიან. ყველაზე უფრო საგრძნობელია მაშინისტების წასვლა იმათ ადგილას კაჩეგარებსა და უბრალო ხელოსნებს ამუშავებენ.

✦ როგორც „ნოვ. ვრემ.“-ს ატყობინებენ, ვლადივოსტოკის გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ეგზამენი ომის გამო 24 თებერვალს დასრულებულა.

✦ ამავე გაზეთს ატყობინებენ, რომ 17 თებერვალს ოდესიდან იერუსალიმს სალოცავად გაემგზავრა 450 რუსი მლოცველი. ამ მლოცველთა უმეტესობას შეადგენდნენ ნათესავები, დედები და მამები შორეულ-აღმოსავლეთში მებრძოლ მხედრებისა.

სასამართლო

კაცის მოკვლა.

26—27 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საქმე ახალ-ციხის მცხოვრების პავლე დიასამიძისა, რომელსაც გორის მაზრის ბაკურიანის ტყის სამმართველოს საქმის მწარმოებლის ტკაჩოვის მოკვლა ჰბრალდებოდა. 1902 წელს, 12 ოქტომბერს, სოფელ ციხის ჯვარს მახლობლად ბაკურიანში მიმავალ ტკაჩევისთვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ უსროლიათ თოფი და მოუკლავთ. გამოძიების დროს ეჭვი მიუტანიათ სამსახურიდან დათხოვნილ პავლე დიასამიძეზე, რომელიც, მოწმეთა ჩვენებით, წინა დღეებში მისულა ბაკურიანში და იქ ნაცნობ-ნათესავებში უთხოვნია ბერდანკა, ვითომც სანადიროდ. მოწმეთა ჩვენებით, დიასამიძემ ჯავრი ამოიყარა, რადგან იგი ტკაჩოვის მიზეზით სამსახურიდან დაითხოვეს გამოძიების დროს უმთავრეს მოწმეებს ბაგატუროვს, მურადოვს, ნიკოლაევს და სხვებს უთქვამთ, ჩვენ ნამდვილად დავინახეთ დიასამიძე, რომელიც ჩაესაფრა ტყეში ტკაჩოვს და მოჰკლა იგიო. სასამართლოში აღნიშნულ მოწმეებს შეუცვლიათ ჩვენება და განუცხადებიათ, ჩვენ არაფერი არ ვიცით ამ საქმისაო. როდესაც ჩვენების სხვადა-სხვაობის გამო შეეკითხნენ, მოწმეებმა განაცხადეს, რომ იძულებულნი გავხდით პირველად ისე გვეჩვენებინა, როგორც ბოქაულს გოგოხიას და დარაჯებს უნდოდათ, რადგან იმათ ძალიან შეგვაწუხესო. ბოქაულს გოგოხიას მოწმეები, როგორც თვითონ განუცხადებიათ, დაუპატიმრებია, დიდს ხანს სიცივეში მშიერნი გაუჩერებია, გაუხდევინებია ტანთსაცმელი და უცემნია იქამდე, ვიდრე უთქვამთ, ჩვენ ნამდვილად ვნახეთ, რომ ტკაჩოვი დიასამიძემ მოჰკლაო. ამას დასწრებია ბორჯომის მამასახლისი ტერ-გაბრიელოვი. სასამართლომ ტერ-გაბრიელოვსაც ჩამოართვა ჩვენება. ტერ-გაბრიელოვმა სთქვა, მართალია, დავესწარი; როცა ბოქაულმა ცემა-ტყეპით ათქმევინა მოწმეებს ბევრი რამე გოგოხიამაო, სთქვა მამასახლისმა, გაჰხადა ტანისამოსი მოწმეებს ბაგატუროვს, მურადოვს და დაუწყო მათ ცემაო. ერთმა მოწმემ ისიცა სთქვა სასამართლოში, სტრაჟნიკები ისე ულმერთოდ მცემდნენ და ბოქაულმა გოგოხიამ ბეჭდში წაღის ქუსლი ისე ძლიერ ჩამკრა, რომ დიდს ხანს ავადაც ვიყავიო. გამისივდა გვერდი და სოფლად ექიმებმა რომ ვერა მიშველეს, მიხეილის სამკურნალოში წავედი დასაწოლად და, როგორც იქმნა, გადავრჩი სიკვდილსაო.

დიასამიძის ვექილმა თავ. ი. ბარათაშვილმა თითქმის ერთს საათს ილაპარაკა. ბოლოს სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც პავლე დიასამიძე გამართლებულ იქმნა. ბრალმდებელმა ამ განაჩენზე პროტესტი გამოაცხადა და ითხოვა, დიასამიძე დაპატიმრებულ იქმნეს, ვიდრე საქმეს პალატა გაარჩევსო. სასამართლომ შეიწყნარა ბრალმდებლის თხოვნა.

თეატრი

პეტერბურგიდან ჩამოვიდა ტფილისში აღმოსავლეთის მუსიკის მცოდნე ე. ა. ბაღდასარიანცი. ბაღდასარიანცის ორკესტრი 50 კაცისაგან შესდგება. ორკესტრი ადგილობრივ საკრავებზე (თარსა, ქამანჩასა, საზსა, დუდუკსა, წინწკასა, ვიმსა, ბომსა, ბითრონზე და სხ.) უკრავს. ამ ორკესტრით უკრავს აღმოსავლეთის (ქართული, სომხური, თათრული, არაბული, ქურთული და სხვა) სიმღერებს. კონცერტის გამართვას ბაღდასარიანცი საარტისტო საზოგადოების სადგომში აპირებს ამ კვირაში.

დეპეშა

(რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

2 მარტი

პეტერბურგი. ერევნის ვიცე-გუბერნატორს თავ. ნაკაშიძეს უმაღლესად ებრძანა ბაქოს გუბერნატორად იყოს.

მინსკის ვიცე-გუბერნატორს კამერ-იუნკერს ველიამინოვს უმაღლესად ებრძანა იყოს სტავროპოლის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

ბელგრადი. საერო კრებამ 94 ხმით წინააღმდეგ 32-სა მიიღო პირველად ბიუჯეტი.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

2 მარტი.

ბერლინი. ახალშენთა დეპარტამენტის დირექტორმა რეიხსტაგში განაცხადა, საჭიროა ახალი მაშველი ჯარის გაგზავნა დასავლეთ აფრიკაში, იქაური ჯარი არ კმარა გერეროში არეულობის ჩასაქრობათო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 8 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე **დანიშნულია ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა თავისუფალი მიწის ნაჭრები ნაძალადევსა და ლოტკინგორაზე. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმან ვაჭრობის დღემდე უნდა წარადგინოს მოწმობა პოლიციისაგან იმის შესახებ, რომ იგი ხარჯის მძლეველ წოდებას ეკუთვნის და ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობაზეა მიწერილი. იმან, ვინც სხვა წოდებას ეკუთვნის, უნდა წარადგინოს მოწმობა: რუსის ქვეშევრდომმა იმის შესახებ, რომ ტფილისში 5 წელზე მეტს ხანს სცხოვრობს, ხოლო სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომმა, რომ 10 წელიწადზე მეტს სცხოვრობს. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ იმათ, ვის მამას, შვილებს, ქმარს ან ცოლს უძრავი ქონება აქვს. ვერც ისინი მიიღებენ მონაწილეობას, ვისაც იჯარით აქვს აღებული ქალაქის მიწა.

(2—6.—1)

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, მჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უღვინოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, 1/2-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. სადილი რათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—8)